საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# საქართველოს საზღვაო ნავსადგურები და ტერმინალები

## 2023 წლის III კვარტალი



20.11.2023
www.geostat.ge

20.11.2023

## საზღვაო ნავსადგურებისა და ტერმინალების ძირითადი მაჩვენებლები
(2023 წლის III კვარტალი)

2023 წლის III კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოვიდა 419[1] გემი, რომელთა 32.9 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთის გადამზიდია, 28.9 პროცენტი - კონტეინერმზიდი, 28.4 პროცენტი - თხევადი ტვირთმზიდია, ხოლო 9.8 პროცენტი ნაყარ ტვირთმზიდზე, ბუქსირებზე, სამგზავრო და სპეციალიზებულ გემებზე ნაწილდება.

2023 წლის III კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 70.4 პროცენტით მეტი კონტეინერმზიდი მიიღო, 1.7 პროცენტით ნაკლები - თხევადი ტვირთმზიდი, 23.8 პროცენტით ნაკლები - გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთმზიდი და 15.4 პროცენტით ნაკლები - ნაყარი ტვირთმზიდი.

### საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა ტიპების მიხედვით




[1] წყარო: სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

20.11.2023

2023 წლის III კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების 16.5 პროცენტი თურქეთის დროშის ქვეშ დაცურავს, 16.0 პროცენტი - ლიბერიის, 15.0 პროცენტი - პანამის, 7.6 პროცენტი - მალტის, 6.0 პროცენტი - ვანუატუს, 4.3 პროცენტი - ბარბადოსის, 4.1 პროცენტი - ბულგარეთის, ხოლო 30.5 პროცენტი სხვა ქვეყნებზე ნაწილდება.

**საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა რეგისტრაციის ქვეყნების (დროშა) მიხედვით, ერთეული**




2023 წლის III კვარტალში საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 3548.2 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშავა, რაც 0.5 პროცენტით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. გადამუშავებული ტვირთის 43.6 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთია, 29.5 პროცენტი - თხევადი ტვირთი, 26.9 პროცენტი - ნაყარი ტვირთი.

## საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთის მოცულობა სახეების მიხედვით, ათასი ტონა




## საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთის მოცულობის პროცენტული ცვლილება,

2023 წლის III კვარტალი წინა წლის III კვარტალთან შედარებით, %



20.11.2023

2023 წლის III კვარტალში საქართველოს ნავსადგურები 5.9 ათას მგზავრს მოემსახურა, რაც 3.1-ჯერ მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამასთან, მგზავრთა ნაკადში გასული მგზავრების წილი მცირედით აღემატება შემოსული მგზავრების წილს და 50.8 პროცენტს შეადგენს.

**მგზავრთა ნაკადი საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში, ათასი კაცი**




**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

**საკონტაქტო პირები:**
თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217), E-mail: tksovreli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge